

ძალადაკარგულია (2007 წლის 15 აგვისტოდან)

საქართველოს

03/28/2007 N 4522

კანონით

(გამოქვეყნებულია

საქართველოს პარლამენტის უწყებანი

1996 წელი – N 19-20)

საქართველოს კანონი

გაკოგრების საქმეთა წარმოების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია მოვალის ფინანსური სიძნელების დაძლევა და მოვალის საწარმოს ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მუხლი 2. გაკოგრებაუნარიანობა და გაკოგრების საფუძვლები

1. გაკოგრებაუნარიანობა (გაკოგრებალობა) სახეზეა, როდესაც შესაძლებელია გაკოგრების საქმის წარმოების გახსნა პირის ქონებაზე ან ქონების განცალკევებულ მასაზე. გაკოგრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მოვალის – ნებისმიერი ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის, აგრეთვე არარეგისტრირებული კავშირის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ამხანაგობის ქონებაზე. სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციული ერთეული და საჯარო სამართლის იურიდიული პირი გაკოგრებას არ ექვემდებარებიან.

2. გაკოგრების საფუძველი ასახავს გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის არსებულ მოვალის ეკონომიკურ მდგომარეობას. გაკოგრების ზოგადი საფუძვლებია მოვალის გადახდისუუნარობა, აგრეთვე მისი ზედავალიანება, თუ მოვალე იურიდიული პირია. მოვალის განცხადების შემთხვევაში გაკოგრების საფუძველია აგრეთვე მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.

3. მოვალის გადახდისუუნარობა სახეზეა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები. მოვალის გადახდისუუნარობა ივარაუდება, თუ მოვალე ზოგადად შეწყვეტს ვალების გადახდას.

4. ზედავალიანება სახეზეა, როდესაც მოვალის ქონება (აქტივი) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს). მოვალის საწარმოს ქონების შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ამ საწარმოს საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა, თუ იგი სავარაუდოა არსებული გარემოებებიდან გამომდინარე.

მუხლი 3. სასამართლო განსჯალობა

გაკოგრების საქმეს, მიუხედავად მოვალის ქონების ღირებულებისა და კრედიტორების მოთხოვნების ოდენობისა, განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო (გაკოგრების სასამართლო) მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ადგილსამყოფლის მიხედვით.

მუხლი 4. გაკოგრების სასამართლოში გაკოგრების
საქმის წარმოების წესი

სასამართლოში გაკოგრების საქმის წარმოებისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები. სამოქალაქო საპროცესო ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით დადგენილი არ არის შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონის მიზანს. (10.04.2001 №848)

მუხლი 5. გაკოგრების მასა

გაკოგრების საქმის წარმოება მოიცავს ვალაუვალ მთავალს ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის საქმის წარმოების გახსნის მომენგისათვის საქართველოში და საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შესაბამისად დამოუკიდებელ იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება (გაკოგრების მასა).

მუხლი 6. განცხადება გაკოგრების შესახებ

1. გაკოგრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მხოლოდ გაკოგრების შესახებ განცხადების საფუძველზე (გაკოგრების განცხადება). გაკოგრების განცხადების შეგანის უფლება აქვს მოვალეს, აგრეთვე კრედიტორს, რომელსაც გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის მომენგისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია (გაკოგრების კრედიტორი).

2. გაკოგრების განცხადება შეიძლება გამოგანილ იქნეს გაკოგრების საქმის წარმოების გახსნამდე ან გაკოგრების საქმის წარმოების გახსნამდე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლამდე.

3. გაკოგრების სასამართლომ გაკოგრების განცხადება წარმოებაში უნდა მიიღოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლით დადგენილი წესით. გაკოგრების განცხადება დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. თუ გაკოგრების განცხადება არ არის დასაშვები, სასამართლო გამოიგანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და განმცხადებელს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ განმცხადებელი განსაზღვრულ ვადაში შეავსებს ხარვეზს, მოსამართლე გამოიგანს განჩინებას გაკოგრების განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუბრუნებს მას განმცხადებელს. ამ განჩინებების მიმართ შეიძლება კერძო საჩივრის შეგანა.

4. გაკოგრების განცხადება მოვალეს უნდა ჩაბარდეს სარჩელის ჩაბარებისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. (10.04.2001 №848)

„მუხლი 6¹. მოვალის განცხადება გაკოგრების შესახებ

1. მოვალემ გაკოგრების განცხადებაში უნდა მიუთითოს ის სასამართლო, რომელსაც წარედგინება გაკოგრების განცხადება, თავისი სახელი (სახელწოდება), იურიდიული მისამართი, აგრეთვე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და გაკოგრების საფუძველი და ამავე განცხადებით უნდა მოითხოვოს გაკოგრების საქმის წარმოების გახსნა.

2. მოვალემ გაკოგრების განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) კრედიტორთა ნუსხა არსებული ვალდებულებების და კრედიტორების სახელების (სახელწოდებების) და იურიდიული მისამართების მითითებით;

ბ) მოვალეთა ნუსხა არსებული მოთხოვნების და მოვალეების სახელების (სახელწოდებების) და იურიდიული მისამართების მითითებით;

გ) მოვალის ქონების, მათ შორის, დაგირავებული, გაქირავებული და იჯარით აღებული ქონების, ნუსხა ცალკეული ობიექტების შეფასებითი ღირებულებების, აგრეთვე მის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის ოდენობის, ამ ანგარიშების რეკვიზიტების და ბანკების მისამართების მითითებით;

დ) მოვალის სადამფუძნებლო დოკუმენტები.

3. მოვალემ წერილობით უნდა დაადასტუროს მის მიერ გაკოტრების სასამართლოსათვის წარდგენილი ნუსხების სისწორე და სისრულე. მოვალეს უნდა განემარტოს, რომ შეგნებულად არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. თუ გაკოტრების განცხადება არ არის ხელმოწერილი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირის ან პერსონალურად პასუხისმგებელი ყველა პარტნიორის მიერ, მაშინ განმცხადებელმა დამაჯერებლად უნდა ამტკიცოს გაკოტრების საფუძვლის არსებობა, ხოლო გაკოტრების სასამართლომ უნდა მოუსმინოს ამ პირებს.(10.04.2001 №848)

მუხლი 6². კრედიტორის განცხადება გაკოტრების შესახებ

1. კრედიტორმა გაკოტრების განცხადებაში უნდა მიუთითოს ის სასამართლო, რომელსაც წარედგინება გაკოტრების განცხადება, თავისი სახელი (სახელწოდება), იურიდიული მისამართი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, აგრეთვე მოვალის სახელი (სახელწოდება) და იურიდიული მისამართი და დამაჯერებლად უნდა ამტკიცოს გაკოტრების საფუძველი და მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნის არსებობა.

2. კრედიტორმა გაკოტრების განცხადებას უნდა დაურთოს თავისი მოთხოვნის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. მოვალის მიმართ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ გაკოტრების განცხადება სასამართლოში უნდა შეიგანოს გადახდის ვალდებულების დადგომიდან არა უგვიანეს სამი თვისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის მიერ ამ ვადაში უკვე შეგანილია სასარჩელო განცხადება.(10.04.2001 №848)

მუხლი 7. გაკოტრების განცხადების განხილვის წარმოება

1. გაკოტრების განცხადების წარმოებაში მიღებიდან 45 დღის ვადაში სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საკითხი, გამოარკვიოს გაკოტრების საქმის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რისთვისაც შეუძლია აგრეთვე დაკითხოს მოწმეები, მოიწვიოს ექსპერტები და მოუსმინოს მოვალეს. სასამართლოს შეუძლია დასაბუთებული განჩინებით ეს ვადა გააგრძელოს ერთი თვით. ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ორჯერ.

2. სასამართლომ მოწვეულ ექსპერტს შეიძლება დაავალოს, დაადგინოს:

ა) არსებობს თუ არა გაკოგრების საფუძველი ამ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად;

ბ) საკმარისია თუ არა მოვალის ქონება წარმოების ხარჯების დასაფარავად ამ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად;

გ) შეიძლება თუ არა შედეგიანად გაგრძელდეს მოვალის საწარმოს საქმიანობა თუ საჭიროა საწარმოს დახურვა.

3. სასამართლომ უნდა იბრუნოს, რომ გაკოგრების განცხადების განხილვის წარმოებისას მოვალის ქონება არ შემცირდეს მოვალის, მისი კრედიტორების ან მესამე პირების მიერ. გაკოგრების მასის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლომ შეიძლება დანიშნოს აგრეთვე გაკოგრების დროებითი მმართველი. გაკოგრების დროებითი მმართველი ზედამხედველობას უწევს მოვალის ქონებას და ამ ქონებასთან დაკავშირებულ მოვალის ქმედებებს. მოვალეს გაკოგრების დროებით მმართველთან შეთანხმების გარეშე უფლება არა აქვს განკარგოს ქონება. დადგენილება, რომლის საფუძველზედაც მოვალეს ებღუდება ქონების განკარგვის უფლება და იგი გადაეცემა გაკოგრების დროებით მმართველს, უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად.

4. გაკოგრების განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით დროებით შეჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, ხოლო იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიებების განხორციელება არ დაიშვება. ეს განჩინება უნდა ჩაბარდეს მოვალეს, განმცხადებელ კრედიტორსა და სააღსრულებო ორგანოს.(10.04.2001 №848)

მუხლი 8. სასამართლოს დადგენილებები

1. გაკოგრების განცხადების განხილვის შემდეგ გაკოგრების საქმის განმხილველ მოსამართლეს (გაკოგრების მოსამართლეს) შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება:

ა) გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ;

ბ) გაკოგრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის თქმის შესახებ;

გ) გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ.

2. სასამართლოს დადგენილება მიიღება განჩინების ფორმით. დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს ბეპირი განხილვის გარეშე.(10.04.2001 №848)

მუხლი 9. გაკოგრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის თქმა

1. სასამართლო გაკოგრების საქმის წარმოების გახსნაზე უარს ამბობს, თუ:

ა) სახეზე არ არის გაკოგრებაუნარიანობა (გაკოგრებადობა) ან გაკოგრების საფუძველი ამ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად;

ბ) მოვალის ქონება იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია დაიფაროს ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ხარჯები;

გ) გაკოგრების განცხადების შეგანის შემდეგ აღმოიფხვრა გაკოგრების საფუძველი.

2. სასამართლოს განჩინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა ჩაბარდეს მოვალესა და განმცხადებელ კრედიტორს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ„ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული განჩინების ძალაში შესვლისთანავე მოვალე, თუ იგი იურიდიული პირია, გაუქმდება. ლიკვიდაცია

წარმოებს „მეწარმეთა შესახებ„ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.(10.04.2001 №848)

მუხლი 10. გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადება

1. მოვალეს შეუძლია მოითხოვოს გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადება, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა, შეიმუშაოს რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების გეგმა და შეათანხმოს იგი კრედიტორებთან. რეაბილიტაციის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას.

2. თუ მოვალე თავის განცხადებაში დამაჯერებლად ამტკიცებს საწარმოს რეაბილიტაციის შესაძლებლობას, სასამართლო იღებს განჩინებას გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ. განჩინების მიღებამდე სასამართლოს შეუძლია მოუსმინოს მოვალის საწარმოთი დაინტერესებულ სხვა პირებს ან სახელმწიფო ორგანოებს, რათა დაადგინოს მოვალის საწარმოს რეაბილიტაციის მიზანშეწონილობა.

3. გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების პერიოდი არ უნდა იყოს ექვს კვირაზე ნაკლები და სამ თვეზე მეტი.

4. თუ მოვალე განსაზღვრულ ვადაში წარადგენს რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების გეგმას და იმ კრედიტორთა თანხმობას, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა ოდენობის 50%-ზე მეტს, სასამართლო ამ დოკუმენტების წარდგენიდან ხუთი დღის ვადაში იღებს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. რეაბილიტაცია განხორციელდება ამ კანონის III¹ თავით დადგენილი წესით.

5. თუ მოვალე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ წარადგენს რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების გეგმას და კრედიტორთა თანხმობას, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.(10.04.2001 №848)

მუხლი 11. გაკოგრების საქმის წარმოების გახსნა

1. გაკოგრების საქმის წარმოება გახსნილად მიიჩნევა, თუ სასამართლოს მიერ მიღებულია შესაბამისი განჩინება (საქმის წარმოების გახსნის გადაწყვეტილება). ამ განჩინებით:

ა) ვალაუვალ მოვალეს აეკრძალა თავისი ქონების განკარგვა;

ბ) მოწესრიგდება ვალაუვალი მოვალის ქონების მართვის საკითხი და დაინიშნება გაკოგრების მმართველი;

გ) ვალაუვალი მოვალის ყველა კრედიტორს დაევალება სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში (მოთხოვნათა წაყენების ვადა) წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით, აგრეთვე ეცნობებათ, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. კრედიტორთა მიერ წარდგენილი მოთხოვნები ჩაიწერება სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მოთხოვნების ჩხრილში. (10.04.2001 №848)

დ) ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუვალი მოვალე ქონებას მიკუთვნებულ

ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, დაევალება მოთხოვნათა წაყენების ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ;

ე) პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალ მოვალის ქონების მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, აეკრძალება ნივთის დაბრუნება ან(10.04.2001 №848) ამ ვალდებულების შესრულება და დაევალება შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ;

ვ) განისაზღვრება საქმის წარმოების გახსნის დღე და საათი;

ზ) მოიწვევა კრედიტორთა პირველი კრება, სასამართლოს მიერ განისაზღვრება კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების ჩატარების დრო და ადგილი, რის შესახებაც ეცნობებათ კრედიტორებს.(10.04.2001 №848)

2. სასამართლო საქმის წარმოების გახსნის გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც ვალაუვალ მოვალეს აქვს საქმიანი ურთიერთობა.

მუხლი 12. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინების გამოქვეყნება

1. განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესის ან ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე ან სასამართლოს ოფიციალურ ბიულეტენში. განჩინების გავრცელებიდან 2 დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ. საჭიროების შემთხვევაში სასამართლო უზრუნველყოფს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინების გამოქვეყნებას იმ სახელმწიფოებშიც, სადაც იმყოფებიან გაკოტრების საქმესთან დაკავშირებული პირები ან არის გაკოტრების მასის კუთვნილი ნაწილი. გამოქვეყნდება განჩინების მხოლოდ შესავალი და სარემოლუციო ნაწილები.

2. განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში. პერიოდულ გამოცემებს კონკურსის წესით შეარჩევს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

3. განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ უნდა გაეგზავნოს:

ა) კავშირგაბმულობის შესაბამის განყოფილებას;

ბ) მარეგისტრირებელ უწყებებს მოთხოვნით, მონაცემი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ შეიგანონ შესაბამისად საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში.

4. სასამართლომ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინება უნდა გაუგზავნოს აგრეთვე იმ პირებს, რომლებმაც მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლამდე განაცხადეს, რომ ვალაუვალ მოვალის მიმართ აქვთ მოთხოვნები და სხვა უფლებები, ან რომლებმაც ვალაუვალ მოვალის მიმართ უნდა შეასრულონ ვალდებულებები.(10.04.2001 №848)

თავი მეორე გაკოტრების საქმის წარმოება

მუხლი 13. საგაკოტრებო შეზღუდვები

1. გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინების მიღებისთანავე ვალაუვალი მოვალე კარგავს გაკოგრების მასის განკარგვისა და მართვის უფლებას. თუ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული საქმის წარმოების გახსნის დრო, მაშინ გახსნის მომენტად ჩაითვლება გადაწყვეტილების მიღების დღის 12 საათი.

2. გაკოგრების მმართველმა უნდა მართოს და განკარგოს გაკოგრების მასა და მოვალის მფლობელში ან სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები ან შენობები გარდა იმ ქონებისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს. (14.02.2002 N 1286)

3. გაკოგრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებლო წარმოება გადაეცემა გაკოგრების საქმის განმხილველ სასამართლოს.

4. გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულება ბათილია, თუ შედეგი არ შევა გაკოგრების მასაში. შესრულების განხორციელებულად ჩაითვლება, თუ შემსრულებელი დაამტკიცებს, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა გაკოგრების საქმის წარმოების გახსნა. (10.04.2001 №848)

5. გაკოგრების საქმის წარმოებისას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ შეიძლება ზოგადად განაცხადოს გაკოგრების მმართველმა ან ცალკეულმა კრედიტორმა გაკოგრების მმართველის მიმართ. დაუშვებელია კრედიტორმა ან გაკოგრების მმართველმა მოითხოვოს ურთიერთ-მოთხოვნათა გაქვითვა, თუ გაქვითვის გარემოება წარმოიშვა გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა იმ შემთხვევაშიც გამოირიცხება, თუ კრედიტორმა ისეთ გარემოებებში შეიძინა მოთხოვნა, რომელიც შეცილებადი იქნებოდა ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. (10.04.2001 №848)

მუხლი 14. უზრუნველყოფის განსაკუთრებული ღონისძიებები

1. გაკოგრების მასის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს შეუძლია, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლში მითითებული უზრუნველყოფის საერთო ღონისძიებებისა, ვალაუვალი მოვალის მიმართ განახორციელოს შემდეგი განსაკუთრებული ღონისძიებები:

ა) ვალაუვალი მოვალის იძულებით მიყვანა სასამართლოში იმ მონაცემების წარდგენის მიზნით, რომელთა მიწოდების ვალდებულებაც მას ამ კანონით ეკისრება;

ბ) საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილების დაკავება და გაკოგრების მმართველისათვის მათი გადაცემა.

2. საქმის გარემოებიდან გამომდინარე სასამართლომ შეიძლება განახორციელოს უზრუნველყოფის სხვა განსაკუთრებული ღონისძიებებიც.

3. გაკოგრების მასის უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებული ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე გაკოგრების განცხადების განხილვის წარმოებისას. (10.04.2001 №848)

მუხლი 15. გაკოგრების მმართველი

1. გაკოტრების მმართველი უნდა იყოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, ვალაუვალი მოვალისა და კრედიტორისაგან დამოუკიდებელი პირი. დაუშვებელია გაკოტრების მმართველად იმ პირის არჩევა (დანიშვნა), რომელიც ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე. გაკოტრების მმართველს კრედიტორთა პირველ კრებაზე ნიშნავს გაკოტრების სასამართლო. სასამართლოს შეუძლია გაკოტრების მმართველად დანიშნოს აგრეთვე გაკოტრების დროებითი მმართველი. კრედიტორებს კრედიტორთა პირველ კრებაზე შეუძლიათ აირჩიონ გაკოტრების სხვა მმართველიც. გაკოტრების არჩეულ მმართველს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, ამტკიცებს გაკოტრების სასამართლო.

2. სასამართლოს მიერ დანიშნულ (დამტკიცებულ) გაკოტრების მმართველს გადაეცემა დანიშნის დოკუმენტი, რომელსაც იგი თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ უბრუნებს სასამართლოს. ამ დოკუმენტში მითითებულია გაკოტრების მმართველის უფლებამოსილებანი.

3. გაკოტრების მმართველი თავისი მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებელია გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის წინაშე. ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ გაკოტრების მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, ეკისრება მისი სრული ოდენობით ანაზღაურება.

4. გაკოტრების მმართველი უფლებამოსილი და ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს თავის მმართველობაში გაკოტრების მასა და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი. გაკოტრების მმართველს შეუძლია გარკვეული დროით სრულად ან ნაწილობრივ გააგრძელოს მოვალის საწარმოს საქმიანობა. კრედიტორთა პირველ კრებაზე გაკოტრების მმართველს არ აქვს უფლება განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გაართულებს ან დააბრკოლებს საწარმოს საქმიანობის შემდგომ გაგრძელებას ან მესამე პირისათვის საწარმოს სამართავად გადაცემას.

5. გაკოტრების მმართველი დანიშნისთანავე აღწერს ქონებას, ადგენს ბალანსს და აღნიშნულ დოკუმენტებს წარუდგენს გაკოტრების სასამართლოს.

6. გაკოტრების მმართველის საქმიანობის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს გაკოტრების სასამართლო. სასამართლოს შეუძლია მნიშვნელოვანი გარემოების არსებობისას განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლოს გაკოტრების მმართველი და დანიშნოს (დაამტკიცოს) სხვა მმართველი.(10.04.2001 №848)

მუხლი 16. ორმხრივი ხელშეკრულების შესრულება

1. თუ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის ორმხრივი ხელშეკრულება მოვალისა და სხვა მხარის მიერ შეუსრულებელია ან ნაწილობრივ არის შესრულებული, გაკოტრების მმართველს შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულება ან უარი თქვას მასზე და უარის შემთხვევაში მეორე მხარეს არ უნდა ჰქონდეს პრივილეგირებული მოთხოვნა.

2. ვალაუვალი მოვალის საწარმოში არსებული შრომითი ურთიერთობები, განურჩევლად მათი შეწყვეტის შეთანხმებული ვადისა, შეიძლება შეწყვიტოს გაკოტრების მმართველმა ან მუშაკმა ორკვირიანი ვადით.

3. ვალაუვალი მოვალის ქირავნობის ან საიჯარო ურთიერთობები ძალაში რჩება. თუ მოვალე დამქირავებელი ან მოიჯარეა, მაშინ გაკოტრების მმართველს შეუძლია კანონით დაწესებული ვადის დაცვით შეწყვიტოს ეს ურთიერთობები მათი შეწყვეტის შეთანხმებული ვადის მიუხედავად.

მუხლი 17. იურიდიული ქმედების გასაჩივრება

1. გაკოგრების მმართველს შეუძლია სარჩელის შეგანით სადავო გახადოს(10.04.2001 №848) ვალაუვალი მოვალის იურიდიული ქმედება, თუ:

ა) იგი ჩადენილი იყო კრედიტორისათვის ზარალის მიყენების მიზნით და ეს მიზანი ცნობილი იყო მესამე პირისათვის;

ბ) ამ ქმედებით ვალაუვალი მოვალემ გაკოგრების საქმის წარმოების გახსნამდე ერთი წლით ადრე კრედიტორთა საზიანოდ თავის ახლო გარემოცვაში მყოფი პირისთვის განახორციელა სასყიდლიანი შესრულება და თუ ეს უკანასკნელი ვერ დაამტკიცებს, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების განზრახვა;(10.04.2001 №848)

გ) ეს ქმედება განხორციელდა გაკოგრების საქმის წარმოების გახსნამდე ერთი წლით ადრე და ითვალისწინებდა ქონებრივი ფასეულობების უსასყიდლო გადაცემას. მოვალის ახლო გარემოცვაში მყოფი პირებისათვის ეს ვადა შეადგენს სამ წელს;(10.04.2001 №848)

დ) ეს ქმედება მოვალემ განახორციელა ფულის გადახდის ვალდებულების შეწყვეტის ან გაკოგრების საქმის წარმოების გახსნაზე განცხადების შეგანის შემდეგ, იმ პირების მიმართ, რომლებისთვისაც ქმედების განხორციელებისას, მოვალის გადახდისუნარიანობა და განცხადების შეგანის ფაქტი ცნობილი იყო ან გარემოებებიდან გამომდინარე, ცნობილი უნდა ყოფილიყო.

2. სარჩელის შეგანა შეიძლება გაკოგრების საქმის წარმოების გახსნიდან მხოლოდ სამი წლის განმავლობაში.

3. თუ იურიდიული ქმედების ნამდვილობისათვის საჭიროა მისი რეესტრში შეგანა, კერძოდ, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში), აღნიშნული ქმედება განხორციელებულად ითვლება იმ დროისათვის, როდესაც მისი ნამდვილობისათვის სხვა დანარჩენი წინაპირობები შესრულებულია, ვალაუვალი მოვალის ნების გამოხატვა სავალდებულო გახდა რეესტრში შესაგანად და მეორე მხარე ითხოვს შეგანას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესები არ ვრცელდება იმ ქონებასთან დაკავშირებულ იურიდიულ ქმედებებზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს. (14.02.2002 N 1286)

მუხლი 18. გაკოგრების გაბუღა

1. გაკოგრების სასამართლომ მოთხოვნების ცხრილის საფუძველზე უნდა შეადგინოს გაკოგრების გაბუღა გაკოგრების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგი რიგითობით:(10.04.2001 №848)

ა) გაკოგრების საქმის წარმოების გახსნამდე სამი თვის ხელფასისა და ხელფასის განაკვეთების მოთხოვნები, თუ ეს მოთხოვნები პირველ რიგში არ უნდა დაკმაყოფილდეს მე-19 მუხლის შესაბამისად;

ა¹) საქმისწარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები.(14.02.2002 N 1286)

ბ) არაუმრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის ბანკების მოთხოვნები ინვესტირებული ფულადი კრედიტების დასაბრუნებლად და საქონლის მიმწოდებლის მოთხოვნები საწარმოს მიმართ;

გ) სოციალური დაზღვევის ორგანოს, საპენსიო და სამედიცინო ფონდების,

აგრეთვე უმუშევრობის დაბლვევის მოთხოვნები;

დ) ამოღებულია (14.02.2002 N 1286)

ე) სხვა მოთხოვნები

2. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება მას შემდეგ, რაც სრულად დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნა. თუ გასანაწილებელი ვაკოგრების მასა არ არის საკმარისი ერთი რიგის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისათვის, მაშინ ისინი დაკმაყოფილდება მათი მოცულობის პროპორციულად. (10.04.2001 №848)

3. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელ სხდომაზე ყოველი წარდგენილი მოთხოვნა განიხილება ცალ-ცალკე მისი მოცულობისა და რიგის მიხედვით და ვაკოგრების ყოველ კრედიტორს და ვაკოგრების მმართველს ეძლევათ თავისი ამრის გამოსხაგვისა და დავის შესაძლებლობა. მოვალემ განმარტება უნდა მისცეს მოთხოვნების ირგვლივ. სასამართლომ ყოველი მოთხოვნის შემოწმების შემდეგ შემოწმების შედეგი უნდა შეიგანოს ვაკოგრების გაბულაში.

4. სადავო მოთხოვნის მქონე კრედიტორს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა შემდგომების წინააღმდეგ მხოლოდ საჩივრის შეგანით. თუ სადავო მოთხოვნა ეფუძნება სააღსრულებო დოკუმენტს, მაშინ ვაკოგრების მმართველმა ან თავად მოდავე კრედიტორმა უნდა აღძრას სარჩელი, რომელსაც განიხილავს სასამართლო კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 19. ვაკოგრების მასის მოთხოვნები

ვაკოგრების მმართველმა, სასამართლოს თანხმობით, არსებული სახსრებიდან პირველ რიგში და შემდეგი თანამიმდევრობით უნდა გადაიხადოს:

ა) ვაკოგრების საქმის განმხილველი სასამართლოს სპეციალური ნებართვით ვალაუვალი მოვალის ოჯახის წევრებისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის ვაკოგრების მასიდან გასაცემი მინიმალურად აუცილებელი შესანახი თანხა;

ბ) ქონების მართვის, მათ შორის ხელშეკრულების დადების ან შესრულების ან ვალაუვალი მოვალის მოთხოვნებისა და უფლებების განხორციელების, აგრეთვე გირავნობის უფლებების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები;

გ) სასამართლო ხარჯები, ვაკოგრების მმართველის გასამრჯელო, აგრეთვე კრედიტორთა კომიტეტის წევრთა გასამრჯელო, თუ ამას დაადგენს სასამართლო. (10.04.2001 №848)

მუხლი 20. საკუთრების ან გირავნობის უფლების მქონე მესამე პირი

1. საგანი, რომელიც მესამე პირს ეკუთვნის არა მხოლოდ უზრუნველყოფის მიზნით, ვაკოგრების მმართველმა უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს. თუ ვაკოგრების მმართველი უარს იტყვის დაბრუნებაზე, უფლებამოსილ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი და მოითხოვოს ნივთის დაბრუნება ან თავის უფლების დადასტურება შესაბამისად გამოიყენება ამ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი. (10.04.2001 №848)

2. საგანი, რომელიც მესამე პირს ეკუთვნის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე საგანი, რომელიც გირავნობის უფლებით არის დაგვირთული, შეიძლება გაყიდოს ვაკოგრების მმართველმა. რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგებიდან, თუ იგი საკმარისი იქნება, დაკმაყოფილება მესამე პირის, როგორც ვაკოგრების კრედიტორს მიკუთვნებული მოთხოვნა არა უმეტეს 3/4-ის ოდენობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; დანარჩენი თანხა შენაგანის სახით გამოიყენება რეალიზაციისა და ვაკოგრების წარმოების ხარჯების დასაფარავად (პროცესი შენაგანი)

თუ გაკოგრების მმართველი გაასაჩივრებს უფლების არსებობას, უფლებამოსილ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

3. იმ ნივთის რეალიზაცია, რომლის მიმართაც პრეგენზია აქვს მესამე პირს, უნდა გადაიდოს საკუთრების ან გირავნობის უფლების არსებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 21. დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნა

1. გაკოგრების საქმის განმხილველმა სასამართლომ გაკოგრების გაბულაში უნდა ჩაწეროს ის გაცხადებული მოთხოვნებიც, რომლებიც შემოვა მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლის შემდეგ. ისინი უნდა შემოწმდეს კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებლად დამატებით სხდომაზე. 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით საბოლოო სიის დამტკიცების შემდეგ დაუშვებელია დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნების დადგენა. დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნა დაკმაყოფილდება იმ თანხიდან, რომელიც ღარჩება გაკოგრების მასაში გაკოგრების კრედიტორებზე მისი განაწილების შემდეგ. (10.04.2001 №848)

2. დაგვიანებით გაცხადებული და დაუდგენელი (10.04.2001 №848) მოთხოვნების ლოკუმენტები უნდა დაბრუნდეს იმის მითითებით, რომ ეს მოთხოვნები გაკოგრების საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ შეიძლება წაუყენონ ვალაუვალ მოვალის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 22. კრედიტორთა კრება

1. გაკოგრების საქმის წარმოებისას თავის მოთხოვნებთან დაკავშირებულ უფლებებს გაკოგრების კრედიტორები ახორციელებენ კრედიტორთა კრებაზე, რომელსაც მოიწვევს გაკოგრების სასამართლო.

2. გაკოგრების სასამართლო კრედიტორთა კრებას მოიწვევს აგრეთვე გაკოგრების მმართველის, კრედიტორთა კომიტეტის ან გაკოგრების იმ კრედიტორის მიმართვის საფუძველზე, რომელსაც გაცხადებული მოთხოვნების შესაბამისად ეკუთვნის მოთხოვნების საერთო თანხის 1/5 მაინც. სასამართლო ვალდებულია მოიწვიოს კრედიტორთა კრება მიმართვიდან არა უგვიანეს 3 დღისა. კრედიტორთა კრება უნდა ჩაგარდეს მიმართვიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

3. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს კრების ჩაგარებამდე არა უგვიანეს 7 დღისა ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი წესით.

4. კრედიტორთა კრებას უძღვება გაკოგრების მოსამართლე. კრებაზე ყოველ კრედიტორს აქვს თავისი მოთხოვნის პროპორციული რაოდენობის ხმა.

5. კრედიტორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ გაკოგრების კრედიტორებს. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას იძლევა შემოწმებული და დადგენილი მოთხოვნები. ხმათა შემოწმებისას კრედიტორები განიხილავენ, მიეცეს თუ არა სადავო მოთხოვნის მქონე კრედიტორს ხმის უფლება და რა ოდენობით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს გაკოგრების სასამართლო. სასამართლომ შეიძლება შეცვალოს გადაწყვეტილება ერთ-ერთი მხარის დამატებითი განცხადების საფუძველზე. დაუდგენელი მოთხოვნის მქონე კრედიტორის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებისა და ხმის ოდენობის საკითხს ერთ-ერთი კრედიტორის ან გაკოგრების მმართველის შესაგებლის საფუძველზე განიხილებით წყვეტს სასამართლო. ეს განიხილება გასაჩივრებას

არ ექვემდებარება.

6. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კრედიტორთა ხმების უბრალო უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ მოთხოვნათა ოდენობის 50%-ისა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კრედიტორთა რაოდენობა.

7. კრედიტორთა კრება უფლებამოსილია განიხილოს ვალაუვალი მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელების ან ამ საწარმოს დახურვის საკითხი, აგრეთვე იმსჯელოს საგაკოტრებო მორიგების შესახებ.

8. გაკოტრების მმართველის ან უმცირესობაში მყოფი ერთ-ერთი კრედიტორის განცხადების საფუძველზე გაკოტრების სასამართლოს შეუძლია უარი თქვას კრედიტორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებაზე, თუ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება გაკოტრების საქმის წარმოების მიზანს ან გაკოტრების კრედიტორთა საერთო ინტერესებს. (10.04.2001 №848)

მუხლი 22¹. კრედიტორთა პირველი კრება

კრედიტორთა პირველი კრება ისმენს გაკოტრების სასამართლოს მიერ დანიშნული გაკოტრების მმართველის მოხსენებას ვალაუვალი მოვალის გადახდის უნარობის წარმოშობის მიზეზების, არსებული მდგომარეობისა და კრედიტორთა პირველ კრებამდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გაკოტრების მმართველის მიერ დამატებითი მოხსენების წარდგენის საკითხს წყვეტს გაკოტრების სასამართლო. (10.04.2001 №848)

მუხლი 22². კრედიტორთა კომიტეტი

1. კრედიტორთა კრებას შეუძლია შექმნას კრედიტორთა კომიტეტი, რომელიც შედგება გაკოტრების კრედიტორებისა და სხვა კომპეტენტური პირებისაგან. კრედიტორთა კომიტეტის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. საჭიროების შემთხვევაში გაკოტრების სასამართლო შეუძლია კრედიტორთა კრების მიერ კომიტეტის წევრთა არჩევამდე შექმნას კრედიტორთა ღროებითი კომიტეტი.

2. კრედიტორთა კომიტეტი ვალდებულია დაეხმაროს და კონკრული გაუწიოს გაკოტრების მმართველს მისი საქმიანობის განხორციელებისას. იგი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მოსთხოვოს მოხსენებისა და საფინანსო ანგარიშის წარდგენა და უშუალოდ გააკონტროლოს იგი. კრედიტორთა კომიტეტის თანხმობას საჭიროებს გაკოტრების მმართველის იურიდიული ქმედებები, მათ შორის, კრედიტის მიღება, ვალდებულებების აღება, მიწის ნაკვეთების შეძენა ან გასხვისება, გაკოტრების მასისათვის სასამართლო პროცესების წარმართვა და სხვა ქმედებები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ სამართავი ქონების მდგომარეობაზე და რომლებიც გამოწვეულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელებით.

3. კრედიტორთა კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

4. კრედიტორთა კომიტეტის წევრის გასამრჯელოსა და ხარჯების ანაზღაურების საკითხს წყვეტს გაკოტრების სასამართლო. (10.04.2001 №848)

თავი მესამე
საგაკოტრებო მორიგება

მუხლი 23. სამომრიგებლო ინიციატივა და წინადადებები

1. გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება დასრულდეს საგაკოტრებო მორიგებით.

2. საგაკოტრებო მორიგების თაობაზე გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოში განცხადების შეგანის უფლება აქვს ვალაუვალ მოვალეს, გაკოტრების ყოველ კრედიტორს, კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს, ყოველ პარტნიორს ან კაპიტალის მფლობელს, აგრეთვე გაკოტრების მმართველს. სამომრიგებლო წინადადების შემუშავება ეკისრება გაკოტრების მმართველს, რაც არ უშლის სხვა ნებისმიერი განმცხადებლის მიერ განსხვავებული წინადადების წარდგენას. ამის გარდა, სასამართლოს შეუძლია თავადაც შეიმუშაოს წინადადება.

3. სამომრიგებლო წინადადებაში უნდა მიეთითოს, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორები, მოხდეს თუ არა მათი უზრუნველყოფა და რა სახით. ამასთან, უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ არანაკლებ ორი მესამედით მაინც. ერთი რიგის ყველა კრედიტორს მიენიჭება თანაბარი უფლებები.

4. სამომრიგებლო წინადადება შეიძლება ითვალისწინებდეს ვალაუვალი მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელებას რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებით, აგრეთვე მესამე პირისათვის საწარმოს გადაცემას მისი საქმიანობის შემდგომი გაგრძელების მიზნით. (10.04.2001 №848)

მუხლი 24. საგაკოტრებო მორიგების დადება

1. სამომრიგებლო წინადადებების კენჭისყრისათვის კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი ძირითადი სხდომის გამართვის შემდეგ და საბოლოო განაწილებაზე ნებართვის გაცემამდე უნდა გაიმართოს კრედიტორთა კრება (სამომრიგებლო სხდომა). შესამოწმებელი და სამომრიგებლო სხდომები შეიძლება ჩაგარდეს ერთად. წინადადება ეცნობება ყველა მონაწილეს არა უგვიანეს სამომრიგებლო სხდომაზე მიწვევისა.

2. სამომრიგებლო წინადადების მისაღებად საჭიროა შესაბამისად როგორც უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორების ჯგუფის, აგრეთვე არაპრივილეგირებული კრედიტორების ჯგუფის ხმათა უბრალო უმრავლესობა. თანხმობის მიმცემმა კრედიტორებმა უზრუნველყოფილ და პრივილეგირებულ ჯგუფში უნდა მოაგროვონ მოთხოვნათა მოცულობის 2/3 მაინც, ხოლო არაპრივილეგირებულ კრედიტორთა ჯგუფში კი არანაკლებ 3/4. წერილობითი თანხმობა უთანაბრდება დასწრების განაცხადს, თუ იგი კენჭისყრის დასაწყისში იქნება წარდგენილი.

3. საგაკოტრებო მორიგება უნდა დამტკიცდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოუსმინონ ვალაუვალ მოვალეს. დამტკიცებაზე უარი ითქმება, თუ მორიგება არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, კერძოდ, იგი არაკეთილსინდისიერი გზით არის დადებული, კრედიტორთა ნაწილს აყენებს გაუმართლებელ მარალს ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების გამო.

მუხლი 25. საგაკოტრებო მორიგების შედეგები

1. დამტკიცებული და ძალაში შესული მორიგება მოქმედებს აგრეთვე გაკოტრების იმ კრედიტორთა მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმის წარმოებას ან კენჭისყრაში, ანდა ხმა მისცეს მორიგების წინააღმდეგ.

2.

3. ძალაში შესული მორიგების პირობების დარღვევისას, მორიგების

დამტკიცების შესახებ დადგენილებისა და გაკოტრების გაბუღიდან ამონაწერის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს აღსრულება მოვალე წესების შესაბამისად. ამასთან, კრედიტორს განცხადების საფუძველზე გაკოტრების გაბუღიდან გამომდინარე მიეცემა სააღსრულებო ფურცელი, აგრეთვე მორიგების და მისი დამტკიცების შესახებ დადგენილების ასლები. (10.04.2001 №848)

4. თავდაპირველი მოთხოვნის შესაბამისად სარჩელის აღძვრა აღარ შეიძლება.

თავი III¹ რეაბილიტაცია

მუხლი 25¹. რეაბილიტაციის მიზანი

რეაბილიტაცია წარმოადგენს ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევას, მისი საწარმოს ლიკვიდურობის აღდგენას და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას.

მუხლი 25². რეაბილიტაციის წინაპირობები

1. რეაბილიტაცია ხორციელდება მხოლოდ იმ მოვალე იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ არსებობს მოვალის შეთანხმება კრედიტორებთან რეაბილიტაციის შესახებ ან გაკოტრების სასამართლოს ძალაში შესული განჩინება საგაკოტრებო მორიგების დამტკიცების შესახებ.

2. რეაბილიტაცია განხორციელდება, თუ არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ აღდგება მოვალის საწარმოს ლიკვიდურობა და თავიდან იქნება აცილებული ლიკვიდაცია.

მუხლი 25³. რეაბილიტაციის გეგმა

1. რეაბილიტაციის გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს მოვალის ლიკვიდურობის აღდგენისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, აგრეთვე ვალეების დაფარვის ვადები. რეაბილიტაციის გეგმაში ნებისმიერი ცვლილება შეტანილი უნდა იქნეს კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით.

2. რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ფინანსურ-ეკონომიკურ და რეორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და რეაბილიტაციის მიზანს.

მუხლი 25⁴. რეაბილიტაციის მმართველი

1. რეაბილიტაციის მმართველი უნდა იყოს სათანადო გამოცდილების მქონე, მოვალისა და კრედიტორებისაგან დამოუკიდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი. დაუშვებელია რეაბილიტაციის მმართველად იმ პირის არჩევა (დამტკიცება), რომელიც ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე. კრედიტორებთან შეთანხმებით რეაბილიტაციის მმართველად შეიძლება არჩეულ იქნეს აგრეთვე მოვალე, თუ გაკოტრების განცხადება შეტანილია მოვალის მიერ და რეაბილიტაცია ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ განჩინების საფუძველზე.

2. კრედიტორებს რეაბილიტაციის მმართველს ასარჩევად წარუდგენს მოვალე,

ხოლო საგაკოტრებო მორიგებისას რეაბილიტაციის მმართველს კონკურსის წესით ირჩევენ კრედიტორები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია უზრუნველყოფილი კრედიტორებისა და გაკოტრების იმ კრედიტორების თანხმობა, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა არანაკლებ 2/3-ს. რეაბილიტაციის არჩეულ მმართველს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, ამტკიცებს გაკოტრების სასამართლო.

3. რეაბილიტაციის მმართველი ირჩევა (მტკიცდება) რეაბილიტაციის განხორციელების ვადით.

4. რეაბილიტაციის მმართველი თავისი მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებელია მოვალისა და კრედიტორების წინაშე. ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, ეკისრება მისი სრული ოდენობით ანაზღაურება.

მუხლი 25⁵. რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებაანი

1. რეაბილიტაციის მმართველი ახორციელებს რეაბილიტაციის გეგმას, აგრეთვე მართავს და განკარგავს მოვალის ქონებას ამ კანონისა და რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად. რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი ქმედება.

2. კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს განკარგოს მოვალის უძრავი ქონება, აგრეთვე დადოს გარიგებები, რომელთა ღირებულებაც აღემატება მოვალის ქონების 20%-ს ან რომლებიც სცილდება რეაბილიტაციის გეგმას.

3. თუ რეაბილიტაციის შემდეგ წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების ოდენობა აღემატება რეაბილიტაციის დაწყების მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი თანხის 20%-ს, მაშინ რეაბილიტაციის მმართველს მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით აქვს უფლება დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც აფუძნებენ მოვალის ახალ ფულად ვალდებულებებს.

4. რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს თვეში არანაკლებ ერთხელ, აგრეთვე მათი მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და აცნობოს დადებული გარიგებების თაობაზე.

5. რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს სადავო გახადოს მოვალის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე დადებული გარიგება, თუ იგი არ იქნა შეცილებული გაკოტრების მმართველის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 25⁶. რეაბილიტაციის მმართველის გასამრჯელო

1. რეაბილიტაციის მმართველის გასამრჯელო გადაიხდება მოვალის ქონებიდან. გასამრჯელოს ოდენობას და გადახდის წესს განსაზღვრავენ კრედიტორები, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა ოდენობის 50%-ზე მეტს.

2. გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველს აუნაზღაურდება შესაბამისი ხარჯები.

3. რეაბილიტაციის მმართველს შეიძლება მიეცეს პრემია მისი საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით.

მუხლი 25⁷. რეაბილიტაციის დასრულება და შეწყვეტა

1. რეაბილიტაცია დასრულდება, თუ მიღწეული იქნება რეაბილიტაციის მიზანი.

სასამართლო იღებს განჩინებას რეაბილიტაციის დასრულების შესახებ.

2. რეაბილიტაციის მმართველს შეუძლია სასამართლოსაგან მოითხოვოს რეაბილიტაციის შეწყვეტა, თუ იგი წარადგენს შესაბამის დასკვნას რეაბილიტაციის მიზნის მიუღწევლობის შესახებ და კრედიტორთა კომიტეტის თანხმობას მისი შეწყვეტის თაობაზე.

3. თუ რეაბილიტაციის განხორციელებისას ან რეაბილიტაციის მმართველის მიერ ირღვევა მოვალის ან კრედიტორის უფლებები, მათ შეუძლიათ სასამართლოსაგან მოითხოვონ რეაბილიტაციის გეგმის გადასინჯვა ან რეაბილიტაციის შეწყვეტა. სასამართლო განცხადებას განიხილავს მიმართვიდან 10 დღის ვადაში და მიიღებს შესაბამის განჩინებას.

4. თუ რეაბილიტაცია შეწყდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სასამართლო იმავე განჩინებით ადგენს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას. სასამართლოს ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. (10.04.2001 №848)

თავი მეოთხე გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრება

მუხლი 26. ქონების რეალიზაცია და მოთხოვნების შესრულება

1. გაკოტრების მმართველმა გაკოტრების მასა უნდა გაყიდოს მასისათვის რაც შეიძლება უკეთესი პირობებით, ხოლო ამონაგები გაანაწილოს საბოლოო ცხრილის მიხედვით.

2. გაკოტრების მმართველის განცხადების საფუძველზე, თუ ამ განცხადებას ეთანხმებიან ის კრედიტორები, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა ოდენობის 50%-ზე მეტს, შეიძლება შეწყდეს ქონების რეალიზაცია ან გაკოტრების სასამართლოს დადგენილებით გადაიდოს გარკვეული ვადით. ეს ვადა სასამართლოს დადგენილებით შეიძლება გაგრძელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად. (10.04.2001 №848)

3. რეალიზაციის დამთავრების შემდეგ, გაკოტრების მმართველმა უნდა შეადგინოს საბოლოო ცხრილი გაკოტრების გაბულის საფუძველზე.

4. თავისი თანამდებობრივი მოვალეობების დასრულებისას, გაკოტრების მმართველმა კრედიტორთა კრებას უნდა წარუდგინოს საბოლოო ანგარიში. მოცემული ანგარიში შესაბამის დოკუმენტებთან ერთად, ხოლო თუ დანიშნულია კრედიტორთა კომიტეტი, მის შენიშვნებთან ერთად, უნდა წარედგინოს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს მონაწილეთათვის გასაცნობად სასამართლო სხდომამდე არა უგვიანეს სამი დღისა. ვალაუვალ მოვალესა და ნებისმიერ კრედიტორს უფლება აქვთ აღძრან შეგებებული სარჩელი საბოლოო ანგარიშის წინააღმდეგ. თუ შეგებებული სარჩელი არ აღიძვრება სხდომაზე, ანგარიში ჩაითვლება მოწონებულად და აღიარებულად.

მუხლი 27. განაწილება

1. საბოლოო ცხრილი უნდა განიხილონ კრედიტორთა უკანასკნელ კრებაზე კრედიტორებთან და გაკოტრების მმართველთან ერთად. კრებაზე უნდა შესწორდეს საბოლოო ცხრილი, შევიდეს მასში ცვლილებები ან დამატებები და ამის შემდეგ დაამტკიცოს სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით.

2. საბოლოო ცხრილის დამტკიცების შემდეგ, გაკოტრების მმართველმა უნდა

გაუნაწილოს ამონაგები და იმ კრედიტორს, რომლის მოთხოვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ შესრულდა, აცნობოს, რომ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ვალაუვალი მოვალის მიმართ შეიძლება წარედგინოს იძულებითი აღსრულების გზით. კრედიტორებს მიეცემათ სააღსრულებო ფურცლის ასლები გაკოგრების ტაბულიდან. ტაბულის ამონაწერიდან აღსრულებების სანაცვლოდ სასამართლოს შეუძლია ცალკეულ შემთხვევაში თავისი გადაწყვეტილებით უზრუნველყოს ვალაუვალი მოვალის სააღსრულებო დაცვა ამ უკანასკნელის განცხადებით ერთი წლის განმავლობაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ნივთი, რომელიც ვერ გაიყიდა, შეიძლება შეფასებითი ღირებულებით გადაეცეს კრედიტორებს აღიარებული მოთხოვნების ჩათვლის სახით. სხვა შემთხვევაში იგი დაუბრუნდება მოვალეს.

4. განაწილების შემდეგ, გაკოგრების მმართველმა უნდა შეადგინოს ამის შესახებ საბოლოო ანგარიში, რომელიც უნდა შეამოწმოს სასამართლომ.

მუხლი 27¹. წინასწარი განაწილება (02/06/2005 N 1498)

1. გაკოგრების მმართველმა ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ა¹“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მოთხოვნების შესამოწმებელი ძირითადი სხდომის ჩატარების შემდეგ და სასამართლოს წინასწარი თანხმობით.

2. გაკოგრების მმართველს შეუძლია, თუ მას აქვს ფულადი სახსრები და სრულადაა დაფარული ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, დაფაროს ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ა¹“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები მასის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ნაწილით (წინასწარი განაწილება). წინასწარი განაწილების დროს დაუშვებელია დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. წინასწარი განაწილება ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მას შემდეგ, რაც დაიფარება ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4. თუ არჩეულია (დანიშნულია) კრედიტორთა კომიტეტი, წინასწარი განაწილებისათვის აუცილებელია მისი თანხმობა.

5. ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიმართ წინასწარი განაწილებისათვის გადასახდელ პროცენტულ განაკვეთს, ამ მოთხოვნების მოცულობის პროპორციულობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს გაკოგრების მმართველი, ხოლო კრედიტორთა კომიტეტის არსებობის შემთხვევაში, გაკოგრების მმართველის განცხადების საფუძველზე – კრედიტორთა კომიტეტი. გაკოგრების მმართველს შეუძლია წინასწარი განაწილების დროს სასამართლოს თანხმობით სრულად დაფაროს ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები მასის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით.

6. წინასწარი განაწილების შემდეგ გაკოგრების მმართველმა უნდა შეადგინოს ამის შესახებ ანგარიში, რომელიც უნდა შეამოწმოს სასამართლომ.

მუხლი 28. დამატებითი განაწილება

1. თუ საბოლოო განაწილების დასრულების შემდეგ გაკოტრების მმართველის მიერ გაკოტრების მასაში შეჩერებული თანხები გამოთავისუფლება იმავე მასის სასარგებლოდ, (10.04.2001 №848) ან გაკოტრების მასიდან გაცემული თანხა მასვე დაუბრუნდა, გაკოტრების მმართველი სასამართლოს მითითებით დამატებით განაწილებს მათ საბოლოო ცხრილის საფუძველზე. ასეთი თანხების მმართვეის და განაწილების შესახებ წარსადგენი ანგარიში უნდა შეამოწმოს სასამართლომ.

2. იგივე წესი მოქმედებს, თუ საბოლოო განაწილების ან საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ აღმოჩნდება გაკოტრების მასას მიკუთვნებული ქონების ობიექტები.

მუხლი 29. განაწილების შედეგები

თუ განაწილების, მათ შორის, დამატებითი განაწილების შემდეგ გაკოტრების მასაში აღარ დარჩა თანხები, მაშინ გაკოტრების სასამართლო იღებს დადგენილებას გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ. სასამართლო აღნიშნულ დადგენილებას უგზავნის მოვალე იურიდიული პირის მარეგისტრირებელ უწყებას, ხოლო მოვალე ფიზიკური პირი შეჰყავს გაკოტრებულ პირთა რეესტრში. (10.04.2001 №848)

29¹ მუხლი. გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების საფუძველები

1. გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება დამთავრდეს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში. სასამართლო გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ იღებს შესაბამის დადგენილებას.

2. გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება:

ა) ამონაგების განაწილების და სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშისა და საბოლოო მოხსენების შემოწმების შემდეგ;

ბ) საგაკოტრებო მორიგების დამტკიცების შესახებ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

4. გაკოტრების საქმის წარმოება შეწყდება, თუ:

ა) მოვალე გაკოტრების საქმის წარმოებისას მოითხოვს მის შეწყვეტას და ამას ყველა კრედიტორი დაეთანხმება;

ბ) გაკოტრების საქმის წარმოებისას აღმოიფხვრება გაკოტრების საფუძველი;

გ) გაკოტრების საქმის წარმოებისას აღმოჩნდება, რომ ვერ დაიფარება გაკოტრების საქმის წარმოების ხარჯები.

5. დადგენილება გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად.

6. გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, თუ გაკოტრების საქმის წარმოება შეწყდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. (10.04.2001 №848)

თავი მეხუთე სხვა ზოგადი წესები

მუხლი 30. ამოღებულია (10.04.2001 №848)

მუხლი 31. კერძო საჩივარი

1. თუ ამ კანონით დასაშვებია გაკოგრების სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება, მაშინ მის მიმართ შეიძლება კერძო საჩივრის შეგანა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლების შესაბამისად. კერძო საჩივრის შეგანა შეუძლია ვალაუვალ მოვალეს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც გამოგანილია ეს დადგენილება ან რომელსაც უშუალოდ ეხება იგი.

2. თუ დადგენილება გამოქვეყნებულია, მაშინ კერძო საჩივრის შეგანის ვადა აითვლება გამოქვეყნების დღიდან.

3. სააპელაციო სასამართლოს დადგენილება აგრეთვე შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის საფუძვლები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. საკასაციო წარმოებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლები.

4. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს თავისი დადგენილების ძალაში შესვლა მისი მიღებისთანავე.

5. კერძო საჩივრის შეგანა არ შეაჩერებს შემდგომ საპროცესო მოქმედებებს. (10.04.2001 №848)

მუხლი 32. სასამართლო ხარჯები

1. სასამართლო ხარჯები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად შედგება სახელმწიფო ბაჟისა და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

2. სახელმწიფო ბაჟი გამოიანგარიშება გაკოგრების საქმის წარმოების დამთავრების მომენტისათვის არსებული გაკოგრების მასის ღირებულებიდან, გირავნობისა და უზრუნველყოფის უფლებების ღირებულების გამოკლებით. სახელმწიფო ბაჟი შეადგენს გაკოგრების მასის 2%-ს. სახელმწიფო ბაჟის მინიმალური ოდენობაა 30 ლარი. თუ კერძო საჩივარი შეაქვს კრედიტორს, რომლის მოთხოვნა გაკოგრების მასის ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ სახელმწიფო ბაჟი გამოიანგარიშება მისი მოთხოვნის მოცულობიდან. (10.04.2001 №848)

3. ბაჟი სრული ოდენობით გადაიხდება:

ა) ზოგადად გაკოგრების საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წარმართვისათვის;

ბ) გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის ან გახსნაზე უარისას;

გ) კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებლად ყოველ კრებაზე განხორციელებულ საქმიანობისათვის; (10.04.2001 №848)

დ) საქმის წარმოების დამთავრებისათვის საგაკოგრებო მორიგებით ან საქმის წარმოების დამთავრებით საბოლოო განაწილების შემდეგ;

ე) საჩივრის განხილვის ყოველი წარმოებისათვის.

4. მე-10 მუხლის შესაბამისად სასამართლოს გარეშე სანაცის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის;

5. ხარჯები წარმოადგენს მხოლოდ გაკოგრების საქმის განმხილველი სასამართლოს ხარჯებს. იგი, როგორც წესი, განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. ამ ხარჯებს არ მიეკუთვნება მე-19 მუხლის "ბ" ქვეპუნქტში დასახელებული ხარჯები. წარმოების ხარჯების საკითხი მოწესრიგებული უნდა იყოს განჩინებით. თუ განჩინება მიიღება ამ კანონის მე-9 მუხლის

პირველი პუნქტის „ა„ და „ბ„ ქვეპუნქტების შესაბამისად, მაშინ ხარჯები დაეკისრება განმცხადებელს, ხოლო თუ განჩინება მიიღება ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ„ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მოვალეს. (10.04.2001 №848)

„მუხლი 33. გაკოგრების მმართველის გასამრჯელო

1. გაკოგრების მმართველის გასამრჯელო გამოითვლება გაკოგრების მასის იმ ღირებულებიდან, რომელიც მოცემულია სასამართლოს მიერ დამტკიცებულ საბოლოო ანგარიშში. გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კანონით დადგენილი პროპორციით. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებით გაკოგრების მმართველს შეიძლება მიეცეს დამატებითი გასამრჯელო მისი საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით.

2. გაკოგრების მმართველს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. გაკოგრების სასამართლო განსაზღვრავს ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობას. (10.04.2001 №848)

თავი მეექვსე გაკოგრების საქმის განსაკუთრებული წარმოება

მუხლი 34. უცხოეთში განხილული გაკოგრების საქმის

წარმოების ცნობა და საქართველოში გაკოგრების

საქმის პარტიკულარული წარმოება

1. უცხოეთში განხილული გაკოგრების საქმე, ან საგაკოგრებო მორიგების წარმოება, მიუხედავად საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობისა, ცნობილ უნდა იქნეს მთელი თავისი შედეგებით საქართველოში არსებულ უძრავ ქონებასა და კრედიტორებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) სასამართლო, რომელმაც უცხოეთში გაკოგრების საქმე განიხილა, არ არის კომპეტენტური საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

ბ) უცხოეთში გაკოგრების საქმის წარმოება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის არსებით პრინციპებს, კერძოდ კი - პირთა ძირითად (10.04.2001 №848) უფლებებს.

2. თუ ვალაუვალი მოვალე, რომლის ქონებაზეც უცხოეთში გახსნილია 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული წარმოება, უძღვება საქართველოში ფილიალს, რომელიც თვითონ დებს გარიგებებს, (10.04.2001 №848) ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ობიექტს, მაშინ უცხოეთში გაკოგრების საქმის წარმოების ცნობა არ გამორიცხავს იმას, რომ საქართველოშიც გაიხსნას გაკოგრების საქმის განცალკევებული წარმოება, რომელიც მოიცავს ვალაუვალი მოვალის მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებულ ქონებას და მასში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებიც წარმოიშვა უშუალოდ ფილიალის ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ობიექტის საქმიანობიდან (გაკოგრების საქმის პარტიკულარული წარმოება).

3. გაკოგრების საქმის გახსნის შესახებ განცხადების შეგანის უფლება ვალაუვალი მოვალის ნაცვლად, აქვს პირადად გაკოგრების მმართველს, რომელიც დანიშნულია უცხოეთში გაკოგრების საქმის წარმოებაში. კრედიტორს შეუძლია შეიგანოს განცხადება, თუ იგი ამ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტში დასახელებული პირია და თუ დაასაბუთებს თავის ინტერესს გაკოგრების პარტიკულარი

წარმოებისადმი.გაკოტრების საქმის წარმოების საფუძვლის დასაბუთება ან შემოწმება საჭირო არ არის.

4. უცხოეთში გაკოტრების საქმის წარმოებაში მონაწილე კრედიტორებს საბღვარგარეთ ამ საქმის წარმოების დროს თავისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებელი ნაწილის გამო მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მონაწილეობა საქართველოში გაკოტრების საქმის პარტიკალურ წარმოებაში, თუ ისინი დაასაბუთებენ თავიანთი განსაკუთრებული ინტერესის არსებობას.

5. გაკოტრების საქმის პარტიკალური წარმოებისათვის უნდა დაინიშნოს გაკოტრების ადგილობრივი მმართველი. მას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს გაკოტრების მმართველთან, რომელიც დანიშნულია უცხოეთში გაკოტრების საქმის წარმოებაში. გაკოტრების უცხოელი მმართველი გაკოტრების საქმის პარტიკალურ წარმოებაში მონაწილეობს, როგორც უცხოეთში საქმის წარმოების ინტერესების წარმომადგენელი და, როგორც ასეთს, შეუძლია შეიგნოს საქმისათვის სასარგებლო ნებისმიერი განცხადება, განსაკუთრებით კი - სამომრიგებლო წინადადებები.

6. დარჩენილი ქონება უბრუნდება გაკოტრების უცხოელ მმართველს.

მუხლი 35. მუხლი 35. გაკოტრების საქმის წარმოება სამკვიდროს ქონებაზე

1. სამკვიდროს ქონებაზე შეიძლება მამკვიდრებლის კრედიტორის (სამკვიდროს კრედიტორის) სასარგებლოდ ისე განხორციელდეს გაკოტრების საქმის დამოუკიდებელი წარმოება, თითქოს მამკვიდრებელი ცოცხალი ყოფილიყოს. განცხადების შეგანის უფლება აქვს აგრეთვე მემკვიდრეს ან ანდერძის აღმსრულებელს.

2. თუ გაკოტრების საქმის წარმოება გახსნილია მემკვიდრის ქონებაზე, სამკვიდროს კრედიტორებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი მოთხოვნები მხოლოდ იმ ნარჩენ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც მათ ვერ მიიღეს სამკვიდროს ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებისას.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული წესები აგრეთვე შესაბამისად გამოიყენება მეუღლეთა საერთო ქონებაზე გახსნილი გაკოტრების საქმის წარმოებისას, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ცოცხალი არ არის. (10.04.2001 №848)

მუხლი 36. გაკოტრების საქმის წარმოება კონცერნის გიპის
საწარმოებისათვის

კონცერნს მიკუთვნებული ან კონცერნზე დამოკიდებული იურიდიული პირის სტაგუსის მქონე საზოგადოებების გაკოტრების საქმის წარმოებისათვის ამ კანონით არ არის გათვალისწინებული რაიმე განსაკუთრებული წესები, გარდა ქვემოთ მოცემულის, კერძოდ, გაკოტრების საფუძვლად განიხილება მხოლოდ მოვალის ურთიერთობები, მხედველობაში არ მიიღება სხვა საწარმოს მონაწილეობა ან მისი გაბაგონებული გავლენა არაპირითად საწარმოზე. საქმის წარმოება დამოუკიდებლად ხორციელდება.

მუხლი 37. ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების
გაკოტრების საქმის წარმოება

ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების გაკოტრების საქმის წარმოება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. (04.07.2002 N1612 2002 წლის 1 ოქტომბრიდან)

მუხლი 38. გაკოგრების საქმის წარმოება საღამოვევო საწარმოსათვის

1. საღამოვევო საწარმოს გაკოგრებისას დაზღვევის საზღვარსაღვევო ორგანოს უფლება აქვს შეიგანოს განცხადება და მისცეს თანხმობა სანაცხადთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებაზე. (27.06.07 N 808 პარლამენტის უწყებანი N 33)

2. სიცოცხლის დამზღვევი საწარმოს გაკოგრების საქმის წარმოებისას დამზღვევი სარემპერვო ფონდის მიმართ ყოველ დაზღვეულ პირს აქვს უპირატესი დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება თავისი კუთვნილი (10.04.2001 №848) წილის გამო.

3. ზარალისაგან დამზღვევი საწარმოს ყოველ დაზღვეულ პირს აქვს უპირატესი დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება (მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი) გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის შედეგად საღამოვევო ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ გადახდილი საღამოვევო შენაგანის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მუხლი 39. გაკოგრების საქმის წარმოება საკომლო (გლესური, ფერმერული) მეურნეობების მიმართ

1. კანონით გათვალისწინებული განსხვავებულ მოწესრიგებამდე საკომლო (გლესური, ფერმერული) მეურნეობა გაკოგრებას არ ექვემდებარება.

2. საკომლო (გლესურ, ფერმერულ) მეურნეობებს 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ნაწარმის მიწოდებიდან გამომდინარე მოთხოვნების გამო ენიჭებათ უპირატესობა მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 40. გაკოგრების საქმის წარმოება საერთო საქმიანობის დროს

1. სამეურნეო მიზნით ერთობლივად მოქმედ პირთა შემთხვევაში, რომლებიც არ არიან გაერთიანებული "მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული არც ერთი ფორმით, შესაძლებელია აგრეთვე გაიხსნას გაკოგრების საქმის წარმოება. გაკოგრების მასად ჩაითვლება ქონების ყველა ობიექტი, რომელიც მხოლოდ სამეურნეო საქმიანობას ემსახურებოდა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ მონაწილეს ეკუთვნის იგი. მოგებაში მონაწილე ერთად მომუშავე პირები ერთობლივი მუშაობიდან გამომდინარე მოთხოვნებთან მიმართებაში არ მიიჩნევიან გაკოგრების კრედიტორებად მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად;

2. თუ ვალდებულებების (გაკოგრების მასის) საერთო თანხა ათას ლარზე მეტია, მაშინ გაკოგრების საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გაკოგრების საქმის გამარტივებული წარმოების შესახებ. გადაწყვეტილებას აღასრულებს მმართველი დამოუკიდებლად, სასამართლოს ბეღამხედველობით. გაკოგრების მმართველი შესაბამისად წარადგენს დასამტკიცებლად მის მიერ შედგენილ გაკოგრების გაბულას, მიღწეულ საგაკოგრებო მორიგებებს.

საქმის გამარტივებული წარმოება შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე "მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული საწარმოების მიმართაც.

მუხლი 40¹. გარდამავალი დებულებები ენერგეტიკული საწარმოების გაკოგრების სპეციალური წარმოების შესახებ

1. გაკოგრების შესახებ განცხადებაში მოვალემ ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტითა და ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებით (რეაბილიტაცია) შესაძლებელია ასევე მოითხოვოს გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადება.

2. „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ქონების, აგრეთვე გენერაციის ობიექტების, ელექტროგადამცემი, ელექტროგამანაწილებელი და რეგიონალური გაზის ქსელების მესაკუთრე საწარმოთა მიერ შესაბამისი იურიდიული პირის რეაბილიტაციის თაობაზე განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვისას ამ განცხადების საფუძველზე სასამართლო აუცილებელი წესით იღებს განჩინებას გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში გერმინი „საწარმოები“ გულისხმობს მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებიც ფლობენ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ლიცენზიას (ლიცენზიის მოქმედების შეჩერებაამდე ან გაუქმებაამდე) და რომელთა ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ქონების, ობიექტებისა და ქსელების მეშვეობით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვის და ასეთ საფუძველზე ამ კანონით დადგენილი გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების სარგებლობის უფლება საწარმოს აქვს მხოლოდ ორჯერ, ხოლო რეაბილიტაციის სპეციალური რეჟიმით სარგებლობის უფლება – მხოლოდ ერთხელ. (14.03.2006 N2740)

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოებისთვის გაკოგრების მასის უმრუნველყოფის მიზნით გაკოგრების დროებითი მმართველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მოვალის წარდგინებით (განცხადებით), საქართველოს ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროების თანხმობით. აღნიშნული სამინისტროები მოვალის შესაბამისი წარდგინების (განცხადების) მიღებიდან 1 თვეში იღებენ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) წარდგინებაზე (განცხადებაზე) თანხმობის გაცემის შესახებ;

ბ) წარდგინებაზე (განცხადებაზე) თანხმობის გაცემაზე დასაბუთებული უარის შესახებ.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოებისთვის გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების პერიოდი არ უნდა იყოს 9 თვეზე ნაკლები და 18 თვეზე მეტი (გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების კონკრეტული პერიოდი ამ შემთხვევაში განისაზღვრება ასეთი საწარმოების განცხადებების მიხედვით). გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების მთელი პერიოდის განმავლობაში საწარმო სარგებლობს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

6¹. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების პერიოდი მოვალის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია გაგრძელდეს. აღნიშნული გადავადების პერიოდი არ უნდა იყოს 9 თვეზე ნაკლები და 18 თვეზე მეტი (გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების გაგრძელების კონკრეტული პერიოდი ამ შემთხვევაში განისაზღვრება ასეთი საწარმოების განცხადებების მიხედვით). (14.03.2006 N2740)

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ საწარმოებთან დაკავშირებით კერძო საჩივარი არ შეიგანება:

ა) განჩინებაზე გაკოგრების განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ;

ბ) განჩინებაზე გაკოგრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ;

გ) განჩინებაზე გაკოგრების საქმის წარმოების შეწყვეტისა და რეაბილიტაციის

გეგმის დამტკიცების შესახებ;

დ) სასამართლო აქტზე რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების (შესწორებების) შეტანის დამტკიცების შესახებ;

ე) განჩინებაზე რეაბილიტაციის მმართველის დამტკიცების ან გაკოგრების დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ.

8. ამ კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოების მიმართ (ასეთი საწარმოების გაკოგრების განცხადებების განხილვის წარმოებისას).

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოებისთვის ამ კანონის 25² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კრედიტორთა შესაბამის ნაწილთან (მოთხოვნათა 50 პროცენტზე მეტის მფლობელებთან) შეთანხმების ვალდებულება უნდა შესრულდეს რეაბილიტაციის გეგმის წარდგენის ამ კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ სტადიაზე.

10. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმო რეაბილიტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში სარგებლობს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

11. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოების რეაბილიტაციის გეგმაში ნებისმიერი ცვლილება (შესწორება) შეგანილი უნდა იქნეს იმ კრედიტორთა თანხმობით, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა 50 პროცენტზე მეტს.

12. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოების რეაბილიტაციის შემთხვევაში რეაბილიტაციის მმართველს წარადგენს თავად მოვალე. რეაბილიტაციის მმართველს ამტკიცებს სასამართლო იმ კრედიტორთა თანხმობით, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა 50 პროცენტზე მეტს.

13. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოების რეაბილიტაციის განხორციელებისას ან ასეთი საწარმოების რეაბილიტაციის მმართველის მიერ ირღვევა მოვალის ან კრედიტორის უფლებები, მოვალეს ან იმ კრედიტორებს, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა 50 პროცენტზე მეტს, შეუძლიათ სასამართლოსგან მოითხოვონ რეაბილიტაციის გეგმის გადასინჯვა ან რეაბილიტაციის შეწყვეტა ამ კანონის 25⁷ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში.

14. ამ კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საწარმოების მიმართ. (15.06.2004 N 123)

მუხლი 41. ამოღებულია (10.04.2001 №848)

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1996 წლის 25 ივნისი.
N 286 - III